



უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის  
სისხლის სამართლებრივი ასპექტები

ირაკლი ჩანტლაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის  
ფაკულტეტზე სისხლის სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების  
მოთხოვნების შესაბამისად*

სისხლის სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: იოსებ ვარძელაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

## განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ირაკლი ჩანტლაძე

29.06.2019.

## აბსტრაქტი

მოცემულ ნაშრომში განხილულია უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის სისხლის სამართლებრივი ასპექტები. მოცემული უკანონო ქმედება წარმოადგენს არაკანონიერად ან დაუსაბუთებლად მოპოვებული ფულისთვის კანონიერი სახის მიცემას, რაც სერიოზულ ზიანს აყენებს ეკონომიკურ მდგრადობას. ეს დანაშაული ინარჩუნებს დღემდე აქტუალურობას, რადგანაც ფართოდ არის გავრცელებული და წარმოადგენს საერთაშორისო დანაშაულს თავისი არსიდან გამომდინარე.

კვლევის მიზანს წარმოადგენს საქართველოში მოქმედი ფულის გათეთრების კანონის გამიჯვნა სხვა მომიჯნავე დანაშაულებისაგან და მასში არსებული ხარვეზების წარმოჩენა. ასევე საქართველოს სისხლის სამართლის პოლიტიკის მაგალითის შედარება სხვადასხვა ქვეყნისა თუ ორგანიზაციის პრაქტიკასთან, რაც საშუალებას მოგვცემს უკეთ აღვიქვათ არსებული ხარვეზები.

ნაშრომში გამოყენებულია არსებული ვითარებისა და მოვლენების შეცნობის ფილოსოფიური მეთოდები. ნაშრომი ეფუძნება ნორმების შედარებას და მათ ანალიზს; სტატისტიკურ წყაროების განხილვას, რაც წარმოაჩენს ფულის გათეთრების აქტუალურობას; არსებული ადგილობრივი და საერთაშორისო ლიტერატურების გაცნობას და მნიშვნელოვანი ინფორმაციების შეკვრას; ისტორიული ასპექტების ჩვენებას.

ნაშრომის ღირებულებასა და სიახლეს წარმოადგენს საქართველოში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ მოქმედი კანონმდებლობის ხარვეზების აღმოჩენა და მისი მთავარი სისუსტის წარმოჩენა. ასევე მის საერთაშორისო ნორმებთან შეთავსებადობის განხილვასა და სხვაობას. კვლევის შედეგია ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართული კანონმდებლობების ახლებური შეხედულებების

ჩამოყალიბება, რაც ეფუძნება სხვადასხვა პრაქტიკისა და რეკომენდაციის გათვალისწინებას.

წინამდებარე ნაშრომის მთავარ შემაჯამებელ ნაწილს წარმოადგენს საქართველოში ფულის გათეთრების წინააღმდეგ მოქმედი კანონმდებლობის ეფექტურობის განხილვა. ასევე ყურადღება გამახვილებულია სსკ-ს 194-ე მუხლის 1-ელ ნაწილში ფულის გათეთრების აღწერილობით მხარეზე და სადაუოდ არის გახდილი დაუსაბუთებლად მიღებული ქონების ფულის გათეთრებად ეტიკეტირება.

ძირითადი საძიებო სიტყვები: საერთაშორისო სისხლის სამართალი, ფულის გათეთრება, სისხლის სამართლის კოდექსი, უკანონო შემოსავალი, პრედიკატული დანაშაული, მომიჯნავე დანაშაული.

## Abstract

This article deals with the criminal aspects of legalization of illicit income. This unlawful act is to legitimate a kind of money that is unlawfully or unreasonably derived, which seriously damages economic sustainability. This crime keeps its actuality up to date, as it widely spreads and is an international offense based on its essence.

The goal of the research is to separate the law of money laundering acting in Georgia from other neighboring offenses and presenting the deficiencies in it. As well as comparison of the criminal policy of Georgia with the practice of different countries and organizations that will enable us to better understand the existing shortcomings.

The present work uses the philosophical methods of understanding the current situation and events. The work is based on comparison of norms and their analysis; Review of statistical sources, which demonstrate the actualization of money laundering; Get acquainted with the existing local and international literature and keep track of important information; Showing historical aspects.

The main summary of this paper is to discuss the effectiveness of legislation against money laundering in Georgia. Also, the focus is on the description of money laundering in the Article 194 (1) of the Criminal Code of Georgia and the issue of labeling the illicitly derived property as a money laundering crime.

Main words: International Criminal Law, International Criminal Court, Genocide, Aggression, War Crimes, Crimes Against Humanity.